

საქართველო



# მწიგნობარი



645/  
2004/2

2004  
№7-8





შურნალი ქალებისა და  
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი  
ლია კაკაბაძე

სარედაქციო  
კოლეგია:

- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტურელაძე  
(მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოხიბაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკაიძე

ნაწილი გუკია  
ტექნიკური რედაქტორი

ღამუშაქმელები - შურნალ  
„საქართველოს ქალის“  
შურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

გარეკანის პირველ გვერდზე -  
სალომე სამადაშვილი პელსინენის  
(აშშ) შტატის ელეგენის კოლეჯის  
ღამთაურების ცერემონიაზე.


მეოთხეზე - ვ. გენგოურის ფოტო.

„Sakartvelos Kali“

Georgian Woman. A Magazine  
for Women

შურნალი გამოდის  
1923  
წლიდან

წლის გვირი



ნატოს-ს სამიტზე ჩასულმა  
საქართველოს პრეზიდენტმა  
სტამბოლში წლის გვირის  
წოდება და უიზლის რაიონის  
ოქროს ბასაღები მიიღო.





# ახალი გენდერითვისი თაროა სამოღვაწეო ახარეზა გეომის

**ნ**ლეკანდელი მოწვევის პარლამენტში ნაციონალური მობრძობა-დემოკრატიების სიით დეპუტატობის კანდიდატა შერჩევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი პროფესიონალიზმი იყო. სწორედ ამ ნიშნით მოხვდა ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში სალომე სამადაშვილი. დეპუტატი თავის არჩევანზე შეძგეს მოგვითხრობს:

- 1995 წლიდან ვაცვლით პროგრამის ფარგლებში თსუ-ის ორიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი აშშ-ში მოხვდი, ელევენის კოლეჯში პოლიტიკურ მეცნიერებებს ეუფლებოდი. მას შემდეგ საზღვარგარეთ ზან ვსწავლობდი, სან ვმუშაობდი... 2002 წლის მაისიდან ამერიკის საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) შემოთავაზებით თბილისის წარმომადგენლობაში დაიწყო მუშაობა. ამ ორგანიზაციის ფარგლებში დღევანდელ ტრიუმფიერატთან საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა მიწვედა. ზურან ეგვიანას ხშირად ვხვდებოდი. კონვენციებს ვაწყობდით, რომელშიც მონაწილეობას ბ-ნი მიმა საკაშვილი იღებდა. პირველად შარშან ზაფხულს ზურან ვეწიასთან მივიღე წინადადება ქართულ პოლიტიკაში ჩაებმულიყავი, მაგრამ მივეცხსენებოდა, ვითარება როგორი იყო, რეალური ვერაფერი შემიძლიაყავს. მაშინ NDI-ის წინადადებას დაეთანხმდი ცენტრალური აზიის ობსერვაციის გადსკვლამზე, რაც ჩემი ერთგვარი დაწინაურებაც იყო. ამასობაში რეკლუციამ მომიხსრო. საქართველოში ჩამოვიდიოდა, ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს ერთ პროექტზე კომენტარი დაეუწყო, მაშინ მოხუცა, პარლამენტში მიხი კვოტით გაეხულიყავი. დაეთანხმდი. მართლაც, ნაციონალური მობრძობა-დემოკრატიების სიით უპარტიო გავედი, ნინო ბურჯანაძის გუნდიდან მოხული დეპუტატი ვარ.

საქართველოში პოლიტიკური კულტურა სასოგადოების ხულისკვთებას აირეკლავს. ამ მხრივ საკმაოდ წინააღმდეგობრივი სურათი იყუთება. ერთის მხრივ, პოლიტიკური მეცნიერებების თეორიას თუ დაეუყვრებთ - დემოკრატიულიად მოაზრება ქვეყანა, სადაც ხელისუფლება ორჯერ მაინც შეიცვალა დემოკრატიული არჩევნების გზით. ეს არ მომხდარა საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების 14 წლიან ისტორიის მანძილზე. ჩვენ რეკლუციური ცვლადებებით სიარულს ვარჩევდით. თუმცა ქ-ნი სალომეს აზრით, დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სასოგადოების ორტესტი, როდესაც წაგართმევენ ძირითად უფლებას - არჩევს უფლებას. ეს ქართული სასოგადოების მაღალი პოლიტიკური თვითშეგნების მაჩვენებელია. თუმცა, დეპუტატი ქალბატონის დაკვირვებით, პოლიტიკურ ტექნოლოგიებს დაისტატებულ ადამიანებს შორისაც საკმაოდ დაბალია ტოლუ-



● სალომე სამადაშვილი

რანტობა, პლურალიზმი და პლურალისტური აზრის მიმართ შემწვარებლური მიდგომა, რაც უკვე ჩვენს დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე მეტყველებს. ერთ ჭეშმარიტებას ვაღიარებთ, აღნიშნავს ქ-ნი სალომე, მაგრამ მისი ძიების გზები სხვადასხვა შეიძლება იყოს. ამ დროს სხვისი აზრიც უნდა გაეთვალისწინოთ. სამწუხაროდ, ეს კულტურა ჩვენში ნაკლებად ვლინდება. ხშირად გვიჭირს ოქროსშუალედის მოძიება, მაგრამ ეს ნორმალურია ქვეყნისთვის, რომელსაც არასდროს ჰქონია დემოკრატიული წყობა. ფეოდალური წყობილებიდან კომუნისტურ-სოციალისტურ სისტემაში ადამიანები. ესეც ფეოდალური წყობის სახესხვაობად შეიძლება მოვიხაროთ, თვლის დეპუტატი ქალბატონი.

ახლამა მთავრობამ შიდაინფლიქტებით დაძიმებული ქვეყანა ჩაიბარა. ბოლო დროს ქართული პოლიტიკური კურსის შეცვლის შედეგად განსაკუთრებით გამძაფრდა ვითარება სამხატლოში, არანაკლებ ფუნადადებას ითხოვს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კრიმინოგენული სიტუაცია. საქართველო ამ პრობლემების დაძლევის პოლიტიკურ გზებს ეძიებს. რა თქმა უნდა, პატარა ქვეყანას საკუთარი რესურსით ნამდვილად გაუჭირდება შიდაინფლიქტების მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარება, აღიარებს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სალომე სამადაშვილი, ამ შემთხვევაში იმპერატიულია ძლიერი სახელმწიფოების მხარდაჭერა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობა, რათა ეს პროცესი ომში არ გადამზარდოს, პოლიტიკური გზით მოგვარდეს.

დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის შედეგია. ეს პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება. ამ დროს ჩვენ მსოფლიო თანამეყოობის სრულუფლებიდან წვერად უნდა დავაფიქსიროთ თავი. ამ საქმეში განწუ გადგომა არ გვმართებს. ქ-ნი სალომეს აზრით, უფრო ინტენსიურად უნდა მივიღოთ მონა-

საქართველოში  
პარლამენტი  
მარტოშვილი  
გიორგი

წილობა გლობალურ პროცესებში, რათა თანმდევი სცეთ მოვიაოვით. ნეგატიური ეფექტებისგან კი თავი დაეცივათ. შესაბამისად, ამ მიმართულებით წარმართოთ საქართველოს საგარეო ურთიერთობები. ესა ნატოში, ევროკავშირში გაწევრებისგან გზა... ამდენად, დიდ მნიშვნელობას იძენს პარტნიორი ქვეყნის სტატუსით ჩვენი მეომრების ერაჟში გაგზავნა, რამაც საერთაშორისო არენაზე სრულფუნქციონირების მსოფლიო-თანამშრომლობის წვერად დაფიქსირების საშუალება მოგვცა. და არ ვგულისხმობ მხოლოდ დატყ. გაუბერებულ, სამთხროვროდ ზელგაწვილ სახელმწიფოდ.

პოლიტიკა კონსენსუსის მოძიების გზით მილაპარაკების ხელსაწყოა. სამწუხაროდ, დღეს ისეთ მდგომარეობაში ვართ, ბევრის მოთხოვნა არ შევძელიდა. შიდაკონფლიქტების მოგვარების საქმეში სახელმწიფოს კურსს დადებითად აფასებს ქ-ნი სალომე, მისი აზრით, ჩვენი ზეღისუფლების მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, სამანაბლოში კონფლიქტის ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირებად აღიარება სწორი ნაბიჯი იყო. მეტიც, პოლიტიკური ბერეკტებით მის გადაჭრამ უცხოური სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქცია უნდა გაიზარდოს. ამ შემთხვევაში პატარა ქვეყანა დიდი რესურსების მქონე სახელმწიფოს – რუსეთს უპირისპირდება. უკანასკნელს ჯერ კიდევ აქვს განთავსებული საქართველოს ტერიტორიაზე საკუთარი შეიარაღებული ძალები, შეუძლია ჩვენზე ეკონომიკური ბერეკტით ზეწოლა.

სალომე სამადაშვილი, როგორც საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა საპარლამენტო ინიციატივის დელეგატია. ამასწინათ, ბულგარეთის დელაქაქ სოფიაში გამართულ სამხრეთ შეხვედრაზე იგი თავი ერთხელ გახდა იმ დეპრესი-



● პარლამენტარები ვეტრანებთან შეხვედრაზე

ული ფონის და დაპირისპირების თვითმიხედვით, რაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორისა. საქართველოს დელეგაციას კვლავ მოუწია მედიაინტერ-შუამდგომლის ფუნქციის შესრულება წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში. რეგიონში პრობლემების მოგვარებას ართულებს უახლოეს მემოლებებს შორის ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსის არარსებობა, თელის ქ-ნი სალომე და მაინაია, რომ ასეთ ვითარებაში

მსხვილ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობა რთულდება, რაც აისახა კიდევ ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის რეალიზაციასა, როდესაც სომხებმა თავი გარიყულად იგონეს. თავის მხრივ, ამ ქვეყანას საერთაშორისო მკვეთრი პოლიტიკური კურსი არ გააჩნია. სომხეთი დღეს ყველა ფრინტზე თამაშობს და არ აფიქსირებს მკვეთრი პოზიციას, სრულს ეკუთვნოდეს ევროპულ სივრცეს. ამიტომ, დეპუტატის აზრით, გვმართებს გაფიქსირება, რომ შვეი ზღვის ქვეყანაში, ზღვით ბულგარეთსა და თურქეთს ვემშობლობთ, შესაბამისად, საერთაშორისო თანამშრომლობის ამ სივრცეს მოვიაზროთ მოქმედებათა არეკაღ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის პირადი დავალებით დღეს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სალომე სამადაშვილი პარლამენტის ინსტიტუციური რეფორმის პროექტზე მუშაობაში ჩართული, რომელიც დღინთი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება, მიზნად ისახავს ტრანსპარენტული მუშაობის დახვეწას – აპარატის რეფორმის საკანონმდებლო პროცედურების დახვეწის გზით, ელექტრონული დოკუმენტაციის სისტემის დანერგვას, თანამედროვე სამყაროსთვის მისაღები მოწინავე ტექნოლოგიური სახელებით სარგებლობას. დეპუტატს დარწმუნებულა, ამ ცვლილებების განხორციელებით საქართველოს პარლამენტს უკეთ შეძლებს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მაკონტროლებლის ფუნქციის შესრულებას, პოლიტიკის ანალიზს, მის შემუშავებას და რეალურად გახდება საქართველოს პარლამენტი წარმომადგენლობითი ორგანო.

**შტრინები პირადი ცხოვრებიდან** – სალომე სამადაშვილის ოჯახს წარმოადგენენ დედ-მამა და უმცროსი ძმა. უკანასკნელი ამჟამად ირლანდიაში ცხოვრობს, იქ ეუფლებოდა ბიზნესის საფუძვლებს და ეკონომიკის. თვითონ ოჯახის შემქნავერ მოახერხა, გულახდილად აღიარება – პარლამენტში იმდენი საქმე მაქვს, პირად ცხოვრებაზე ფიქრს ვერ ვახერხებო. მშობლების სახლში მზრუნველობის ობიექტი ძალია სახელად – ბუნი ჰყავთ. ქ-ნი სალომეს მშობლები, ტექნიკური უნივერსიტეტში მოღვაწეობენ. მამა ბ-ნი არჩილ სამადაშვილი პროფესორია, ხოლო დედა ქ-ნი მარინა, სანამ ტექნიკური უნივერსიტეტში დაიცვებდა მუშაობას, დაეუფლა ფორტკანის ანოს და მუსიკათმცოდნის სპეციალობას.

სამშობლოსთან 7 წლიანი განშორების შემდეგ ქ-ნი სალომე დარწმუნდა, რომ ქართველს ნოსტალგია აუცილებლად შემოვკაძალება და ყოველთვის დგება მოქმეტი, როდესაც საზღვარგარეთ უზრუნველ ცხოვრებას. სამშობლოში დაბრუნებას არჩევ, თუნდაც იცოდეს, რომ აქ აწუხებელ პირობებში მოვაწევს არსებობა. სამაგიეროდ, ისტორიის შექმნაში იღებ მონაწილეობას და აღარ ხარ უცხოური ორგანიზაციის რეგიონი თანამშრომელი, ერთგვარი უსახური ჭანჭყია, რომელიც საკუთარი სამუშაოს შედეგს ვერ ხედავს და გრძობს, რომ მის სამუშაოს სხვაგვარად უსახურად შეასრულებს. სალომე სამადაშვილი ბედის მადლიერია, რომელიც საკუთარ შესაძლებლობების სამშობლოს აღორძინების სამსახურში გამოვლენის შანსი მისცა.





# დასაკარგად ვერ გავიხიბებით

## ანუ

# დედებს გამოქცეული შვილები და შვილებისგან დაგალოებული დედები

**რ**ა ქნას ქვეყანამ, რომელსაც 5 ათასი ბავშვი – უღვამამო, მშობლებისგან ქუჩაში გაგდებული, ოჯახურ მზურუნელობას მიუღებელი შევლას სთხოვს? 5 ათასი – ეს ოფიციალურად, რეალურად კი ალბათ უფრო მეტიც და მათ უნდა ამყოფინო 40-ოდე ბავშვთა სახლი, თავმუსაფარი თუ სარეაბილიტაციო სადღეღამისო ცენტრი.

თანაც ამ 5 ათასიდან 70 პროცენტი ტოკიომიანია, პრარულწლოვანი მძებვია და ვენერეული სენითაა დაავადებული.

რა ქნას ასეთმა ქვეყანამ, რომელმაც არ იცის, ეს პროცენი უმართავი როდის გახდება?

ერის შეიღმა, საქართველოს პრეზიდენტმა დედამშვილობის მაღლი გაიხსენა და გადაწყვეტილება მიიღო: ბავშვთა სახლები გაუქმდეს (გამონაკლისი გარდა), იქაური ბინადარნი ბიოლოგიურ დედებს დაუბრუნდნენ, ცუდიც რომ იყვნენ, მინიც დედები არიან და ყოველთვიურ საარსებო წყაროს თუ დაუნიშნავენ, ოჯახი აუწყობა. ვისაც ასეთი დედები არ ჰყავთ, ახალი დედა გამოიხრნდებათ. რამდენია დედობას დანატრებული ქალბატონი. მათაც შეუძლიათ სრულიადსამებრ ერთი ან რამდენიმე ბავშვი იშვილონ, სოლიდურ ანაზღაურებას მიიღებენ, ბავშვებს ლაღად, ოჯახურ გარემოში გაზრდიან და დედობილს ღვიძლი დედასა-ვით შეიყვარებენ.

– გაუქმდეს ბავშვთა სახლები და მოზარდები ოჯახებს დაუბრუნდნენ, – გადაწყვიტა პრეზიდენტმა.

საზოგადოებამ ეს აზრი მოიწონა, სად უპატრონოთა სახლი და სად ოჯახი! მაგრამ ამას დრო სჭირდება, ერთიანი ცენტრის შექმნა, რომელიც ყველაფერს დაარეგულირებს. მანამდე ეს გრანტებისა და შემოწირულობების იმედით უნდა იარსებონ და უკეთესის მოლოდინში გაიჭიმება ცხოვრება.

ჯერჯერობით კვლავ ცუდ დღეშია ქვეყანა. სად იყვნენ წინათ მათხოვარი, მაწანწალა ბავშვები! გვიქონდა რამდენიმე ბავშვთა სახლი, სადაც უღვამამო ბავშვები იზრდებოდნენ და კარგი ადამიანებიც გამოდიოდნენ.

თითხმეტწლიანმა ქართველებმა თითქმის გამოუვალ ჩიხში ჩაგვაყენა. რამდენიმე ნაბიჯგამოკლებით, სახლების კუთხებიდან, უმიდლო სივრცეში პატარა ხელები გამოშვებულან დაღვენებული მუდართით: მაწუქეთ ათი თეთრი!

მათი დანახვა და მოსმენა ძნელია. რა ვქნათ?



ბევრი ასეთი ბავშვი დედებს ფულის საშოვნელად გამოუყვიათ.

ქუჩაში კი ყველაფერი ხდება, ქუჩაში ხომ ადამიანი ვერ გაიზრდება. დედები შვილებს ემალებიან და მათი ამგვარ ბზნესში ჩათრევის ცდილობენ, თავად ან ლოთობენ, ან ნარკოტიკებს ეძალებიან. მათი შემხედვარე შვილებიც, რა თქმა უნდა, სწორ გზას ვერ დაადგებიან.

თუ თათბა არ გვეყოლება, ქვეყანას როგორ ავაშენებთ? ან სად გვეყვს დასაკარგი ბავშვები?

მაღლობა ღმერთს, რომ საქართველოს ბევრი ვინიერი, მოჭირნახულე შვილი ჰყავს. ისინიც ფიქრობენ ქვეყნის გასაჭირზე და მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობენ.

ამასწინათ ოპერის თეატრში „ღონ კარლოსი“ აუღერდა. მღეროდა მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე, მღეროდა იმისათვის, რომ მთელი შემოსავალი მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფონდში გადაერიცხა, ეს ფონდიც მან ააარსა და „იანანა“ უწოდა. ბევრს გაზრდის და დაყენებს ფეხზე მართლაც ეს გულუნვად და სიყვარულით გაცემული ქველმოქმედება. შემოწირულობა ერთჯერადი არ არის. ბატონი პაატა მსოფლიოს საუკეთესო მომღერლებს, მდიდარ ადამიანებს, თავის ახლობლებს თუ მეგობრებს „იანანას“-კენ მოახედებს, დაახლოვებს...

ამბობენ, ცნობილი პიანისტი ელისო ბოლქვაძეც მიუსაფარ ბავშვებს გულშემატკივრობს და თბილისში გამართული კონცერტების მთელ შემოსავალს მათ კეთილდღეობას მიახზარს.

ბარაქულა მას!

ლია კაკაბაძე





გაზაფხულის პირას შარდენის ქუჩაზე მდებარე საგამოფენო დარბაზ „ორიენტში“ მზრუნველობა-სმოკლებულ ბავშვთა ნაშუაფენების გამოფენა-აუქციონი მოეწყო, რომელსაც ქ-ნი ბაია წიქორიძე კურირებდა. დღეს იმდენს წერენ ქუჩაში გასული ბავშვების პრობლემებზე, რომ ამ ფაქტის უყურადღებოდ დატოვება დანაშაულის ტოლფასად მიიჩნეოდა და დაინტერესებულებმა გამოფენას მივაკითხეთ. ზეთსა და აკვარელში შესრულებული ანსატები, მინიატურული ქანდაკებები, გობელენები, ნაქარგები, რბილი სათამაშოები, რომელთაგან ნაწილი ოსტატური, ნაწილი კი ჯერ კიდევ გამოუვადღელი სელიო იყო შესრულებული, მნახველის ყურადღებას სწორედ სპეციფიკურობით იპყრობდა. როცა ქ-ნი სთან მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებზე სერიოზული საუბარი დაგვიართო, გვიჩინა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ პრეზიდენტ, ქ-ნი ნანა იაშვილისათვის მიგვემართა, ვისი თოსნობითაც მოეწყო კიდევ ეს გამოფენა.

**- ქ-ნი ნანა, თუ შეიძლება ორივე სიტყვი გაემაბეთ თქვენს ორგანიზაციაზე?**

- არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ 1995 წელს დაარსდა, მისი მიზანია, მრავალმხრივი დახმარება გაუწიოს განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს, რომლებიც პირობითად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: რისკის ზღვარზე მყოფი ბავშვები, რომლებიც შეიძლება ქუჩაში გაივლინენ; ქუჩის ბავშვები; უნარმწუვრული ბავშვები და სოციალურად დაუცველი მოზარდები. სწორედ მათთვის შექმენით სპეციალური პროგრამები, რომლებიც მოზარდთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციას, კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას ითვალისწინებს.

არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოყალიბებამდე ერთუხი-ასხთა 15 კაციანი ჯგუფი ქუჩაში მოხალისედ მუშაობდა და იქ თავმოყრილ ბავშვებს საუკეთესო, ტრანსპარენტ, შედეგაყენებულ, წინგებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფდა.

ქუჩაში გასული ბავშვის ნდობის მოპოვება ძნელია, ამიტომ ჩვენს მცდელობას თავიდან სულ ხუთი თუ ექვსი მოზარდი გამოეხმურა, რომელთა რაოდენობაც ორ წელიწადში ასობდებ განზარდა და კვებისა და ტრანსპორტის პრობლემის წინაშე დადგა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილებამ არ გექონდა, ამიტომ ერთ-ერთი საგუნდოს მეშვეობით პატარა ინფორმაცია გაგავგანეთ ქუჩის ბავშვების შესახებ. შეტყობინება იტალიელი დოქტორი ნარდელი გამოეხმურა, რომელიც იმ ხანებში „ტასისის“ პროგრამაზე მუშაობდა და თამარ ბერუნიანისთვის მეშვეობით მიგვებნა. შეგადგინეთ სოციალური პროგრამა და თბილისში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს მივაკითხეთ. ყველაზე სილიდური, ბრტყნული ჰუმანტარული ორგანიზაცია „ოქსეამი“ გამოგვეჩვენა. დამკვეთ ერთობლივი პროექტმა 1996 წლის თებერვალში ტასისის ლენის გრანტი მივიღეთ, რაც თბილისში, პოსტსტატორ სფეროში ქუჩის ბავშვებისათვის პირველი ღია სარეაბილიტაციო ცენტრის ამოქმედებაში დაგვეხმარა. გათვალისწინებულ იყო ისეთი პირობების შექმნა, რომ ბავშვს ქუჩისგან აღარ გაეხედა.

**- მაინც რით იქნებოდა გამოჩენული ეს ცენტრი?**

- იგი ყოფილი და მიგვიერთი საითხების მოვარებასა და ფსიქოლოგიური ბარების გადალახვამ დაეხმარებოდა მოზარდებს, პრაქტიკულად უსახლკარონი კი ღამის თავშესაფარში გამოიძინებას შეძლებდნენ. ბავშვებთან პედაგოგები და

# „ქუჩის ბავშვებზე“

ფსიქოლოგები იმუშაებდნენ. ცენტრი 1997 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა და თანდათან მოიზარდა მოზარდები. მათი სკოლის გარეშე დატოვება შეუძლებელი იყო და, რადგანაც უმეტესობას მეტყველების პრობლემა აუწყებდა, ისინი ლოგოპედური სკოლაში მივიყვანეთ. დიდად ვემადლოებოდათ ქნალი ზაქარიევილსა და 44-ე სპ. სკოლის დირექტორს ქნ დუღული ჩხეიძეს, რომლებმაც დიდი მონაშზადებელი სამუშაოები ჩაატარეს შშობილთან. დღეს ჩვენი აღსაზრდელებს სხვებზე უკეთ სწავლობენ, ხოლო სიფთო მათერი და ზუსტ სწერეთელი 44-ე სპ. სკოლის საუკეთესო მოსწავლეებზე ითვლებიან.

**- თუ ჰყვართ ბავშვებს პატრონი და რა უბიძგებს მათ მტრისკენ?**

- ქუჩის ბავშვების დიდ ნაწილს აუცილებლად ვიღაც ჰყავს ოჯახში: მარტოხელა ბებია ან დედა, ასოციალური შშობილები - მესამე დედა ან ლოთი მამა. მოზარდები სწორედ მათი ზეწოლით მთხოვრობენ, მემკობენ, და ამ გზით არჩენენ ოჯახს. ნაწილი საერთოდ გაქცეულია სახლიდან არანაირი კონტაქტით არა აქვს ოჯახთან. ცენტრში ყველანაირი ბავშვი მოდის. ისინი გამოუდგობით იცვლებიან. განსაკუთრებულად უნდა უჭირდეს ბავშვს, რომ თუნდაც ორი წელი დაკლოს ჩვენთან. მუდმივად მცხოვრებთა იჩხვი მაქსიმალურადა შემცირებული, რადგან მივაჯანჩა, რომ ბავშვი მანერ საკუთარი ოჯახში უნდა იზრდებოდეს. დღის ცენტრში მას შეუძლია წლების მანძილზე იაროს და სურფიანის მსხედით არჩეულ პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა - იქნება ეს ხატვის წრე თუ დრამატული. რეუსორი - გონა კაპანაძე ჩვენს აღსაზრდელების მონაწილეობით უკვე მთორე აპექტულად დგამს, გამოფენა-გაყიდვა იმითრე მოვაწყვით, რომ სათუფლირო სახელისონის გასახსნელად საჭირო ხელსაწყო-იარაღები შევიძინოთ. ჩვენი ერთ-ერთი აღსაზრდელი, 19 წლის მონა ბერუნიანმა, რომელიც ერთ დროს ტოქსიკომანი იყო, დღეს დღესთან ცხოვრობს, მინანქარზე მუშაობს და საუთარი შრომით არჩენს ოჯახს, სურფილი გამოთქვა, ხელთა შესაწავლის ბავშვებს. დიდა პირადი მაგალითის ძალა, გასაკუთრებით 15-16 წლის ბავშვისათვის, მით უფრო, თუ ამ ხელთათ მონაგვალში ოჯახის ჩრჩენს შეძლებენ.

**- რა გარანტია გაქვთ, რომ თქვენ აღსაზრდელები კვლავ ქუჩას არ მიაკითხავენ?**





ნანა იაშვილი

– ბავშვებს ქუჩაში ხელახლა გასვლა და მათხოვრობა უჭირს, რადგან მათ ცნობიერებაში გარდატეხა მომხდარი. სამწუხაროდ, შინ დაბრუნებული ხშირად შშობლებს წინააღმდეგობას ვერ უწევენ და იძულებით ძველ გზას ირჩევენ. მეორე ისევე გვაკითხავენ. რასაკვირველია, ყველა არა. ასაკუ კაანჩია – პატარა ადვილად დამყოლია, 15 წლის ჯა-

უტერის, შრომის, ჩოგბურთის წრეები, შეიქმნა ხალხურ ცენტრებს კვისა და სიმღერის ანსამბლი შესანიშნავი ლოტარის კიხოციმპურისთვის ხელმძღვანელობით. გადაჭრილია ჩაცმისა და კეების საკითხი.

ჭიათურის მოდელმა იმდენად გაამართლა, რომ მასზე დაყრდნობით საერთაშორისო ორგანიზაციებმა კიდევ რამდენიმე ქალაქში – ზუგდიდში, წყალტუბოსა და ტყაბულში გადაწყვიტეს მსგავსი ცენტრების გახსნა.

**– სიმწვლეებზე რას გვეტყვით?**

– პირველ რიგში, ჩვენს საკუთრებაში გადმოსაცემი შენობების საკითხია მოსაგვარებელი. თავის დროზე დიდ დახმარებას გვიწვედნენ ბატონები გიგი წერეთელი და ზაზა შენგ-

# მთავრობა უნდა ზრუნავდეს...

ბუკის სხვანაირი თავმოყვარეობა აქვს და ასე იოლად ქუჩას ვერ ჩამოაშორებ;

**– სწავლით გამოირჩევიან?**

– სწავლის მხრივ მონდომებულები არიან, ეროვნების მიუხედავად, ქართულად წერა-კითხვა ყველამ იცის, თუმცა ზოგს ფურადღების კონცენტრირება უჭირს. ბავშვების სიმცირეს არ ვუჩივით – ერთმანეთი მოჰყავთ, უფროსი ასაკის ბავშვების დასაქმება ჩვენთვის ნამდვილად დიდი პრობლემაა.

**– დიდი პასუხისმგებლობა გაკისრიათ, დარწმუნებული ბრძანდებით წარმატებაში?**

– ქუჩის ბავშვების პრობლემა არასამთავრობო ორგანიზაციების გადასასწავლელი არაა, მას მთავრობა და ხელისუფლება კანონის ფარგლებში უნდა აგებდეს. მთავრობის მიერ ფინანსურად უზრუნველყოფილი არასამთავრობო სექტორი კი მის პოლიტიკას ახორციელებს.

**– მალე არსებობის ათი წლისთავს აღნიშნავთ. ამ გადასახედიდან რით მიიწონებდით თავს?**

– დღეს მზრუნველობასმოკლებულ მთავრობებს მობილური სამსახური და ოთხი სარეაბილიტაციო ცენტრი ემსახურება, რომლებიც ყოველდღიურად 350 ბავშვს უწევენ დახმარებას. თავმჯაფთარი „ბედურები“ გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარეობს და 270 აღსაზრდელზეა გათვლილი. მას პოლანდიური ორგანიზაცია BCEE/Gordaid-ი, თბილისის მერია და კერძო დონორები აფინანსებენ. „ცისარტყელა“ ვაგზლის ტერიტორიაზე განთავსებული, უნარშეზღუდული სარეაბილიტაციო ცენტრი „იმედი“ დიდუბეში – სამშობლო ტრავმებისა და გონებრივი ჩამორჩენილობის ილი ფორმის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის მუშაობს. განსაკუთრებით გამოირჩევა ჭიათურის ახალგაზრდული ცენტრი „ჯაკელი“, რომელიც 150 მიზარდზე ზრუნავს. საგანგებოდ მოწვეული პედაგოგები ბავშვებს გაკვეთილების მომზადებაში ეხმარებიან, მუშაობენ ზატვის, კომპი-

ლია, თუმცა გრიშაშვილის აღმართზე მდებარე ცენტრის შენობა დღესაც ვერ დაიკვირნით. ეჭვი წელია მხარში ერთგულად გვიდგას ქ-ნი სანდრა რულოვსკი, რომელიც ჭურჭელს, თიხურულს, ავეჯს, მუსიკალურ საყარავებსა და ხელგარჯილობისათვის საჭირო ნივთებს იძენს ჩვენთვის. ფინანსურად ძირითადად უჭრებოლები: ტასისი, ოქსფორდი, BCEE/Cordaid, Save the Children, The European Children's Trust, ბრიტანეთის საელჩო, ფონდები JAC Trust, Network for Social Change, ქვა გვაფინანსებენ, კვებისათვის საჭირო თანხას მერია გვახმდის, რაც დიდ გამარჯვებად მიგვაჩნია. დიდი ბი-



ზნესმენები თავს არ იწყებენ, ძირითადად საშუალო დონის მუშარმეები გვაწვდიან კვების პროდუქტებს. „ოუნიუსფა“ 25 ადგილიანი ავტობუსი გვანუქა და ბავშვები ექსკურსიებზე, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებსა და წარმატებულ საწარმოებში დაგვყავს, რათა დავარწმუნოთ, რომ ცხოვრებაში ქუჩაზე ბევრად საინტერესო ადგილებიც არსებობს.

ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას ერთი შექნებით ვიწყებთ – არ გვაყვარდება, რომ ქუჩის ბავშვები იფიქროს შენობები არიან.



# ღმკერთი სიყვარულია

## სასუბარი პირმელი



მათეს სახარებას სიყვარულის სახარებასაც უწოდებენ, რადგან მოციქული მთელი ცხოვრების მანძილზე სიყვარულს ქადაგებდა და ღრმად მოხუცებულებს მასთან კურთხევებზე მისულ ხალხს ამ ერთადერთი სიტყვითა და მოძღვრავდა: გიყვარდე, გიყვარდე!...

ღმერთი თავად სიყვარულია, მას ყველა უყვარს, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც ღმერთი უყვარს, - ვინც ღვთიური კანონებით ცხოვრობს.

ზოგი აცხადებს, რომ კაცი არ მოუკლავს, არ უშურშია, არ მოუხარავს, არვისთვის ზიანი არ მოუყენებია და ჰკინაა, სწორედ ეს არის ღვთის მცნებების შესრულება, ღვთიური კანონებით ცხოვრება და, აქედან გამომდინარე, საჭიროდ აღარ თვლის წირვა-ლოცვებზე სიარულს.

წმინდა მამათა განმარტებით, ასეთი აღმანიები ძალიან ცდებიან, რადგან საყუარ თავზე პრივილეგირებული, აღმატებული წარმოცვა აქვთ. ღვთიულებანწინებულები წმინდანები კი ამბობენ: კაცთა შორის პირველი ცოდვილი მე ვარო. ეს სიტყვები, შეიძლება არაკლესიურ ადამიანს მოიყენებინო სიმდაბლეთ ნათქვამი ევრონი, მაგრამ თუ ჩვეუკვირდებით, მიხვდებით, რომ ეს სიტყვები მართალიად ადამიანის გულიდან ისწრფელაა. მითხველს გაუკვირდება და იტყვის: წმინდანს ყველაზე ცოდვილი როგორ შეიძლება იყოსო? ამისა ახსნა ადვილი არ არის, - ამას მიხვდნარა უნდა: მაგალითისათვის ავიღოთ ყველაზე საუბლო ფერი - თეთრი, ახლა გაეხსენოთ რამდენხანოთი თეთრი ფერი გვიანავს - ზოგი თეთრია, მაგრამ სხვა თეთრ ფერთან შედარებით შეიძლება უფრო მეტი იყოს ის და. რაც უფრო ქათქათაა ფერი, მას ყველაზე უფრო მკვითრ ლაქად ეტყობა ნებისმიერი ჭუჭყი, თუნდაც შედარებით მეტი თეთრდნან ატელობა წერტილიც კი. ასევეა სულის სწმინდეც - რაც უფრო სუფთა სული აქვს ადამიანს, მით უფრო მტკაენეულად განიცდის, ერთი შეხვებით, „უწინაშენლო“ ცოდვებს. თუმცა, უწინაშენლო ცოდვა არ არსებობს, ყველა ცოდვა დამარბრელებლი ბარობრა დღვისიყენ საუბლ ვანხე, რასაკვირველია, მეტ-ნაკლებდ, და, კიდევ ერთი: როცა რამე გეტყვიო, ან სულიერად ვართ შეტვირტელები, ჩვენზე უბედური არავინ გვცნობია და გვაკუსყდება, რომ ირავლეო უამრავო ჩვენზე აკდმყოფი და ვაქირევეული ადამიანია. აი, სწორედ ასე უნდა გეტყვიდეს ჩვენი ცოდვებიც; თუ მტკაენი კბილით არ მოგვასყენებს საყუარო ცოდვები, მხოლოდ მამინ ვიტყვით, რომ უპირველესი ცოდვილები ვართ და ვეცდებით მოვიშოროთ სულის გამწრწნელი ცოდვა, რომელიც მეტასტანოებით ხან სად იქნის თავს და ხან - სად.

ვინც ამბობს, ცოდვა არ ჩამდნინაო, თავს იტყვის და სხვის მოტყუებასაც ცდილობს, თუმცა ღვთის წინაშე დაფარული არაფერია, - ჩვენ აღმანი სახეებს ვხედავთ, ღმერთი კი გულდა მხსველია და მის თვალს არაფერი გამოეპარება... რაც შეეხება იმთ, ვისაც „უცოდველობის“ პრეტენზია აქვთ, მამათა განმარტებით, სწორედ მთ სკრლებია განსაკუთრებული „მკურნალობა“, ანუ ეკლესიო ცხოვრების დაცვება, რადგან ამ ნათქვამში ამმარტაენობის მარცვალია, ამმარტაენობა კი უკვე ღლი ცოდვა და საყუებლიანი მონანიება უნდა.

ზოგჯერ ამბობენ: ღმერთი შწამს, მაგრამ მღვდლი არ შწამსო. ამის მოქმედი ალბათ აეცხვება, რომ მღვდელი ღვთისგან დაღვენილი მსახურია, მასზე გადისოვლია ძალი, რომლის ძალითაც ის აღმარულებს საღვთო მსახურებებს: ნაილობას, ჯვრის აგებას, აღსარებას, ზიარებას და ამ მღვდლის წინაშე საღვთოობების აღსრულება არავის ძალუძს, - თვით აღმატებულ ხელმწიფესაც კი. რაც შეეხება მღვდლის პიროვნულ თვისებებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია და შეიძლება მასაც ჰქონდეს პიროვნული სისუსტეები, რის გამოც ღვთის წინაშე ძალიან მკაცრად აგებს მას. ახლა შეტკვინო: თუ ღვთის მსახურმა იცის, რომ მკაცრად დასჯება, რაღაცნო სცვალება მისთვისე მითხვენიე მითხვენიე განა ექმნება არ იციან, სიყარტი რომ მიხვენიელა? იციან, შესანიშნავად იციან, მაგრამ სუსტი ნებისყოფა აქვს ზოგიერთ მათგანს და ეყენა. ახლა, როგორ მიუქციეთ, არ მივიღოთ სიყარტის მწვეულ ექმნიანო?!

დავიმასსოროთ: მღვდელი როდენ ცოდვილიც უნდა იყოს, ის მაინც ღვთის მსახურია და მხოლოდ მას შესწევს ძალა საღვთო მღვდლობების შესრულებისა. არა და, რაღა უარყოფით თვისებებს ვამჩნევთ პიროვნებაში? - ღვთის წყალობით, უამრავი მღვდლისი მოძღვარი გვაყავს და მათ ყოთიღობობილბას რატირ ვერ ვამჩნევთ? ნუ დაგაბარკობებს ზოგიერთების სისუსტეები, ქრისტეს თორმეტ მიწვევში ერთი მოლალებე მკავდა და რა გასაკვირა, დღესაც რომ თითოროლია არასათნო გამირობოს! მთავარია ადამიანმა საყუარ სულში ადამიანის უარყოფით თვისებები და საყუებლიანი აღსარებით ამობიწყოთ თითოროლ მათგან, თორმეტ ღვთის სამკაჯორზე თავს ვერაფრით ვეღარ იმარდლებს.

ქრისტინდულ ცხოვრებაში მოსაერების სიყარულია, რამეთუ ღმერთია თავად სიყარული. „იყვარობდეთ თითოერთი არს, რამეთუ ერთობით ადგანარდნით,“ - გვეუბნება მაცნობარი ჩვენი იესო ქრისტე, მოციქული კი გვმობრავებს: მთების გადააღვლე- ჯდა რომ შეგებდით რწმენით, თუ სიყვარული არ გეტყებათ, იტყვინ რწმენა „იღარუნა რეაღია“ო, ანუ საღვთნის ქორაუნიო. ასე რომ, სიყარული გარეუტ ვერ მთავლ მარადილუ სიყარულიან - მამა-უფალიან, რომელმაც საწყურნი სანუენები მოშუნადა თავის შეიძებს საყურნი ნეტარობისთვის.

ღმერთმა გავგანაღს ის ნეტარობის ღირსი!

PS. ფოტოზე გამოსახული გვარია ბალახისა, რომელიც მისი თვეში სასწაულებრივად ამოვიდა აერობრტის ეკლესიის გვერდით, შუა ქუჩაში, აფხალებზე. ხალხმა ქვევით შემოსაზღვრა ძველი და მუხლმოვრით ათავაზნებია.

ნანა ბაგრატიონ-დაპითაჟივილი



# „პოეტის გული ზე იფიქსრება...“



● გიორგი ლეონიძე შეილიშვილთან, გიორგი გვინიძესთან ერთად

„ამ საუკუნის მე ვარ მწერალი, როცა მიწა ნამეწვერალი,“ – წერდა გიორგი ლეონიძე, ბობოქარი, მშოფთავრ სულის ადამიანი, რომელსაც მართლაც აზვირთებულ დროში მოსწია ცხოვრება და მიღგაწობა. მეოცე საუკუნის ყველა ქართველმა მის მხრებზე გადაარა. გაუძლი, გადარჩა. გული კი... „პოეტის გული არ იფერფლება,“ თავს თუ იმშვიდებდა, ალაბო.

ამიტომაც თუ მოსწვდა ცოტა ხნით მოტორტმანე დედამიწის და ქართველ სიმბოლისტებს – „ცისფერყანწილებს“ შეუერთდა. ტიცინ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდამშვილი, პაოლი იაშვილი, ყოლაყ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, რაუდენ გვეტაძე და სხვები მისი სულიერი ძმები გახდნენ. მეგობრობის გარდა, მათთან სიხალღოვე ოსტატობის ერთგვარი სცოლა იყო, ანუ როგორც თავად გიორგი ლეონიძე ამბობდა, ეს იყო უფერული, გაცეითილი სიტყვების საპირისპიროდ „ალმასის“ სიტყვების ძიგბის დრო.

სიმბოლისტებში ტექნიკური სიმდიდრე, რითმისათვის, ლექსის მუსიკალობისათვის ბრძოლა ხბაღავდა. მათ მგავსად ქართულ ნიღაღებზე მოდერნიზმის ყვეალებების ვადმონერგვას ცდილობდა. თუმცა „მაღე ისევე დედამიწაზე ჩამოგდა ფეხი და ცოცხალ ხალხურ სიტყვას დაუბრუნდა.“ „ამაში მე ერთგულ ნიღაღთან მტკიცე კავშირად გამიწა დახმარებაო“, – წერდა მო-

გვიანებით. ალბათ ამიტომაც უწოდა მიხეილ ვეჯახიშვილმა ქართულ მიწაში ყველაზე ჩაფულული მწერალი.

გიორგი ლეონიძე დრმად განსწავლული, სამშობლოზე უსაზღვროდ შეუვარებული საზოგადო მოღვაწე იყო, რომლის ჩვეულებრივი, ყოველდღიური საქმიანობა ყოველთვის დიდ ეროვნულ საქმეში გადაიზრდებოდა ხოლმე. „კუხლადი, ბეღაური“ მაღლიანი ქართული სიტყვით დაიპყრო შემოქმედებით ასპარეზი და ხალხის სიყვარული და აღიარება მოიპოვა.

როგორც ამბობენ, იგი ამაყი, ზვიადი, თავმოყვარე და უხომო პატრიოტი ყოფილა. მეგობრები მივარდნილ სტიქიასაც აღარებდნენ, რომელიც ყოველგვარ ვეჭბრებსა და სახვედრებს ეურჩებოდა.

მაღე თბილისში გიორგი ლეონიძის სახელ-მუხეუმი გაიხსნება. და ეს არ იქნება უბრალოდ მუხეუმი. თავად პოეტე ყოველთვის ცდილობდა არ დაეარეულიყო კავშირი თაობებს შორის, რადგან ამის საშიშროებას კარგად შეღავდა და ყველაფერს აყუთებდა, რომ წარსულსა და მომავალს შორის მტკიცე დამაკავშირებელ ხიდად გადებულყო. დღეს, როცა ოცდამეერთე საუკუნემ უამრავი მანტიერებით შემობავდა, როცა საქართველო ლამის დამურებით დასახლებულ ტერიტორიად იქცედა და არა ეროვნულ სახელმწიფოდ, ყველაზე მეტად სწორედ ახლა გვმართებს წინაპრებსა და წვეს შვილებს შორის, თუნდაც ბეწვის დამაკავშირებელ ხიდად ვიქცეთ.

გიორგი ლეონიძის სახელ-მუხეუმის დირექტორად დაინიშნა პოეტის შვილიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ყადემციოს ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ბ-ნი გიორგი გვინიძე.

– თხოუმტე წლის ვიყავი, პაპა რომ ვარდაიცვალა და ამდენად შემეძლო მოვლენები სწორად გამეაზრებინა. პაპა რომ დიდი პოეტი და მწერალი იყო, თანდათანობით მივხვდი, მაგრამ მის პიროვნულ სიდადეს თავიდანვე ვერნობდი.

ქალაქში სული ესუთებოდა. თავს თავისუფლად და ლღად ბუნების წიაღში ვრძობდა. ბუნებასთან სიხალღოვე პაერიოთი ესაკტირობოდა, რადგან თავადაც მისი განუყოფელი ნაწილი იყო. ბოლოს ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა. სამსახურის შემდეგ მთიხონიღებად ჰქონდა გადაქცეული მანქანით ქალაქგარეთ გასეირნება. პაპას ყოველთვის თან გახლდებოდა. სად არ დავდიოდი, ხან მცხეთაში, ხან ანანურში, ხანაც ლუშთში.

ქალაქს გავცდებოდი თუ არა, ვერნობდი, რომ პაპა ფიქრებით საღდაც შორს მიდიოდა. ჩემად იყო და ეს სიწუმე მის სიდაღებზე მეტყველებდა. ვერნობდი, რომ რაღაც დიდი ხეობდა, თუმცა რა, მაშინ ვერ ვაცნობებრებდი. შემდეგ მივხვდი, რომ პაპა იმ წუთებში მთელი არსებით ბუნებასთან იყო შერწყმული. როგორ მივცემდი თავს იმის უფლებას, რომ ეს სიმეურღოვე და სიწუმე დამეშრებოდა.

დილით გვიან იღებებდა, რადგან ლამის სამ-ოთხ საათამდე მუშაობდა. ხშირად კი გათენებამდე არ ქრებოდა სინათლე მის ოთახში. მიხნეს ექებდა სულ მასთან ვყოფილყოფი, თუმცა დიდი საბაბი მეც არ მჭირდებოდა და, რაღა დაგამალოთ, სკოლას ხშირად ვაცდენდი, თუმცა მასთან ურთიერთობამ იმდენი რამ მიმიცა, რასაც ვერანარა სკოლაში ვერ ვისწავლიდი.

ერთ ოთახში გვეძინა. წნევაგაც მე ვუწობავდი, დაღაქის ფუნქციასაც მე ვასრულებდი. ბოლოს ფეხსაცმელებზე თასმე-



ბის შეკერა უჭირდა და მე ვეხმარებოდი. ბედნიერად ვერძობდი თავს, რომ თუნდაც რაღაცით შემეძლო მისი დახმარება. მეგობრები უფრო ვიყავით, ვიდრე პაპა და შვილიშვილი.

პაპა დიდი საზოგადო მოღვაწე იყო - ერისკაცი. ასე მეგონა, რომ ყველა მოკლენის ცენტრში, ყველაფერის სული და გული, მამობრავებელი ძალა იყო, და ასეც ხალხი.

სრულიად ახალგაზრდამ სალიტერატურო განხეთქილად დახატა - დაარსდა, სადაც მასთან ერთად ტვიანტ ტბაში და ვახილ ბარნოვი თანამშრომლობდნენ. სხვადასხვა დროს რედაქტორობდა აღმანახს „ლიტერატურული მექანიკური“ და „ლიტერატურული მემატიანე“. მისი დიდი ძალისხმევით განიხსნა ილიას სახელ-მწიგნუმი და ლიტერატურის მუზეუმი.

- იმ ხანად მწერალთა კავშირი, როგორც სერგი ჭიალაი ამბობდა, საზოგადოებრივ პარლამენტს წარმოადგენდა, სადაც ერის ყველაზე მწვავე და სასიცოცხლო ის საკითხები იხილებოდა, რომელსაც ეპოქა და დრო კარნახობდა ქართული სოციალისტურების.

ეს ტრადიციას მაშინ კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა მწერალთა კავშირს გიორგი ლეონიძე ჩაუღვა სათავეში. ცნობილია, რომ ყველა დიდ ეროვნულ საქმეს სწორედ იქ ყვერებოდა საფუძველი.

- არ მერიდება იმის განცხადება, რომ პაპა თანდათანობით ერის ლიდერად ჩამოვადიდდა. მიუხედავად იმისა, რომ მამონილი მეგობრები არ იძლეოდნენ ლიდერობის საშუალებას. პაპას, მწერალთა გამოცდილებიდან კარგად მოუხსენებოდა, რა ვაფიხის ხალხი იყვნენ კომუნისტები. მან იცოდა, როგორ გაეკეთებინა მათთან საქმე. ამ შემთხვევაში ზნეობრივი კომპრომისი არ იგულისხმება, არამედ ელემენტარული ტაქტიკა და დამოუკიდებლობა. პაპა დარწმუნებული იყო, რომ მონსტრთან მიშველი ხელეუბნი ბრძოლა დაღუპვის ტოლფასი იყო. თავისი სულიერი ძიების განაგრძელებას მძის ღვეჯ ლეონიძის დიკვიდაცია დაემატა, რომელსაც უმაღლესი განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. მანადღე, 1924 წლის რეპრესიებს პაპას ცოლისძმა დაიხვეწა. რომელიც მხოლოდ იმისთვის დახვრიტეს, რომ გედეკანიშვილი იყო.

**- მოგვანებთ თუ იხსენებდა იმ ავბედით წლებს?**  
- პოლიტიკა მისთვის ტაბუადღებოდა თუმა იყო. ზოგს პკონია, რომ პაპა იძულებული იყო ვუნდრეყო ექმბა სტალინისხეთვის. მართალია, მას დიდ პატივს სცემდა, მაგრამ არა როცა იცოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლიდერს. იმ ხანად საქართველო უზარმაზარი სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილს წარმოადგენდა. ამ სუპერ-სახელმწიფოს ლიდერი კი ქართველი იყო, რაც ბუნებრივია, სამაგის გრძობის აღძროვა ქართველებს. საერთოდ, არ შეიძლება ცოლსახად საქართველოს ისტორიაში რუსეთის როლის შეფასება. საუკუნეების მანძილზე საქართველო ფიზიკური გასადგურების საფრთხის წინაშე იდგა. უცერად დაღვა დრო, როცა თითო ადარ ვარდებოდა, უფრო მეტიც, დაკარგული ტერიტორიებიც დაკარგებოდა. მაშინ პოლიტიკური დამოუკიდებლობა გამორიცხებული იყო. სხვათა შორის, ეს საკითხი თავის დროზე გაიძიებდა ამგვარად დასვა: ჩვენი დამოუკიდებლობა ამ ეტაპზე არარეალურია, ამიტომ მთელი ძალები უნდა მივმართოთ კულტურული ავტონომიისკენ.

პაპაც ამ აზრს იზიარებდა და ასეც არის. როცა არ არსებობს არანაირი კულტურული და ეკონომიკური პოტენციალი, მაშინ შეიძლება სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობა ორ დღეს გაიკარდეს. ტუსადის შეიძლება ერთი შეხედვით დღეს ბორჯილები ახსნან, მაგრამ თუ მას ფეხზე დგომა აღარ შეუძლია, მაშინ ასეთ თავისუფლებას რაღა ფასი ექნება.

- გიორგი ლეონიძე რეპრესიებს გადაურჩა, მაგრამ ეს

**გადარჩენა მისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო, რადგან მისი უახლოესი ადამიანები ფიზიკურად განადგურდნენ. ალბათ, სათქმელიც ვერ თქვა ბოლომდე, ვალეში დამარხდა იმქვეყნად წაიღო ამოუთქმელ დარდად და ტყვიად.**

- მართლაც მწელია, როცა თავზე თოფით გადაგანან, თუკის, რასაც ფიქრობ. ბუნებრივია, რომ ამ დროს თავის დასაცემქანსშიმ მიქმედებს. პაპამ ალბათ მართლაც ვერ შეძლო ვისი პოტენციალის ორმოცდაათი პროცენტის რეალურება.

თავად ხელისუფლებამ მყოფთა შორის მიმდინარეობდა უკომპრომისო ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რამაც კულმინაციას 35-37 წლებში მიაღწია. სტალინის ძლიერი ოპონიცი და უპირისპირად, რაც რამდენიმე ათეული ან თუნდაც ასეული აღმანახის პაუზობაში კი არ გამოისატებოდა, არამედ ეს იყო ორი ცენტრი, რომლის გარშემოც ხდებოდა საკმაოდ სერიოზული ძალების კონცენტრაცია. მიქმედება დაუკავშირებდა თავისი შეიარაღებით. რეალურ მტრებს ემატებოდნენ გამოონილი მტრები. მტყუნანსა და მართლის გარეშე ფაქტობრივ შეუძლებელი იყო. ამ დროს ამოუვდა ქვეყნა, მდამიო გერონბები. ზოგს მქობლის ბინა მოსწონდა, ზოგს - ახლობლის ცოლი, ზოგს - თანამდებობა. დატრიალდა კომპრომატების ორომტრიალი, რამაც ამ უბედურების ავტორიტიც კი შეიწირა. მოგახსენებთ, რომ გაანადგურეს იგივე აცოდა, ეყოფი, ვისი უშუალო ბრძანებითაც იხვრიტოდნენ ასიათასობით ადამიანები, მუშები, გლეხები, რომელთა არსებობა სტალინმა არეკი იცოდა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სტალინი 1937 წელს განვითარებული სისხლიანი მოვლენების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო, ამავ დროს, შეიძლება ითქვას, ბევრი უბედურება მას მიაწერეს.

უშუალოდ სტალინის მითითებით რომ დაეხვრიტათ ტვიანტი, მიხელო ვეჯანიშვილი და სხვები და სხვები, პაპას მხრიდან სტალინის მზარდაჭერაზე ლაპარაკიც არ იქნებოდა.

ამს მისი გამართლების მიზნით ნამდვილად არ ვამბობ. პაპამ ცხრებდა ისე განვლო, რომ რეაბილიტაცია ნამდვილად არ ცხრებდა.

- გიორგი ლეონიძემ განათლება თავდაპირველად ჯერ სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში მიიღო. ბუნებრივია, მორწმუნე იქნებოდა. ამ დროს ამის აღიარება ფიზიკური განადგურების ტოლფასი იყო...

- დამს, ბევრი მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, რომ მის მორწმუნეობას არანაირი გარეგნული გამოხატულება არ ჰქონოდა. თუკი სულით ხორცმად ქრისტიანი იყო. სასულიერო სემინარიაში ვიცოდა ბარნოვი ასწავლებდა. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, დიდი მეგობრები იყვნენ. ბარნოვი პაპას ქორწინებამდე აქტიურად ჩაერთა.

პაპას დიდი მულო ეყვამა გედეკანიშვილი შეეყვარება და მისი ცოლად შერთვა გადასწავლბა, მაგრამ ოჯახს თურმე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევია, ვის გუგავა თქმენი შუღლესა, ნათესავეები ზართო; რის გამოც პაპას ორჯერ უცდა თავის მოკვლა. ვინ იცის, რითი დათმადებოდა ყველაფერი, საქმეში ვასილ ბარნოვი რომ არ ჩარეულიყო. ჩრევა პატრიარქს ჭიოხსა. კათალიკოსმა ქორწინებზე კუთონჯვა მისცა და სამეპანი თავად დასწერა ჯვარი პაპას და ბჭის.

- ამდენად გასარკვევიც არ არის, თუ ვის მიუძღვნა გიორგი ლეონიძემ თავისი სატრფიალო ღვექსები, რომლებიც ეთრდებოდა მისივეგება და ამაღლებულიც...

- არ არის აუცილებელი, რომ პოეტის მუზა მუდელუ იყოს. თუქცა, ერთის თქმა კი დაბეჯითებით შემძილია, მათი სხვა რული სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.



● გიორგი ლეონიძის ქალიშვილი თინათინ ლეონიძე, ოჯახთან ერთად

- გიორგი ლეონიძის მამას - ნიკო ლეონიძეს ილიას „გვირგვინი“ ქართველი ხალხის განათლების ერთგული მოძრავე უწოდა.

დელა - სოფიო გულისაშვილი, როგორც თავად წერდა, „ახასეთი სპეტაკი ადამიანი იყო, რომელმაც იმის სისპეტაკისა და მშობლიური მიწის სიყვარული ასწავლა“.

- მართლაც ღირსეული მშობლების შვილი გახლდათ. პაპს მამა მივლევდი იყო. გორის სასულიერო სემინარიაში ვაჟა ფშაველაშვიან ერთად სწავლობდა. ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ ნათელი კვადის დატოვება მაინც მოასწრო. მუუღლის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მივლი სიმძიმე პაპს დიდს დანაწვა მხრებზე, რომელმაც მარჯალი გაჭირვების მიუხედავად შეძლო ღირსეულად აღეზარდა ხუთი შვილი.

- ვაჟა-ფშაველა ახსენეთ, რამდენადაც ვიცე, სწორედ მან დაუღლოდა გიორგი ლეონიძეს კალამი...

- პაპა თორმეტი წლის იქნებოდა, რომ ვაჟა თბილისში ჩამოსულა. სამი დღე თურმე ავილიდა და ჩამოვიღა იმ ქუჩაზე, სადაც დიდი მგოსანი ცხოვრობდა, მაგრამ მასთან მისულა ვერ გაუბედავს. ბოლოს მეგობრისთვის უთხოვია, ლექსების რეკული ვაჟა-ფშაველასთვის გადაეცა. ვაჟას მართლაც წუყუხიასა პაპის ლექსები, როგორც ჩანს, მოსწონებდა და მისთვის ლექსიც დაუწერია.

- ამბობენ, რომ შეუცვლელი თამადა იყო...

- საქართველოში ჩამოსული ყველა სასტიკო სტუმარი პაპს სამასპინძელი იყო წყნითს ავარაკზე. ხრუშჩოვის დროს შერისხული პასტერნაკი ეს სტუმრობდა, რაც საკმაოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, რადან მოგესწენებათ მაშინ ცოტა დაკლდა, რომ 37 წლის რუპრესები არ განმეორებულყო.

